პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 89 (3066) | 11 | 1966 წ. მაისი. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

◆ **მეხიკო,** 10 მაისი. აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში ჩილის ფეხბურთელთა ნაკრებმა დაამარცხა ფრანგული კლუბი „მონაკო" — 2:1. ბურთები შესვენების შემდეგ გაიტანეს იავარმა და ვალდესმა. მექსიკის ნაკრებმა მოუგო თანამემამულეებს — „ნეკახას" კლუბის ფეხბურთელებს — 1:0. ხვალ გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს ხვდებიან ჩილისა და მექსიკის ნაკრები გუნდები.

◆ **ბუქარესტი,** 10 მაისი. მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის დამთავრებამდე 1 ტურით ადრე ლენინგრადელმა დიდოსტატმა ვ. კორჩნოიმ უკვე გაინაღდა პირველობა — 13 ტურში 11,5 ქულა დააგროვა. კორჩნოის უახლოესი მეტოქე — რუმინელი დიდოსტატი ფ. გეორგიუ მას 2 ქულით ჩამორჩება.

◆ **კოპენჰაგენი,** 10 მაისი. 500 კბ სმ მანქანებით მოტოკროსში მსოფლიო ჩემპიონატის IV ეტაპი მოიგო შვედელმა რ. ტიბლინმა. პირველ სამ ეტაპში გამარჯვებული პ. ფრიდრიქსი (გდრ) მეორე იყო. უძლიერესთა ექვსეულში მოხვდნენ საბჭოთა მოტოციკლისტები ი. გრიგორიევი (V ადგილი) და ზ. კალკისი (VI). 4 ეტაპის ჯამში დიდი უპირატესობით კვლავ ფრიდრიქსი ლიდერობს.

◆ **მოსკოვი,** 10 მაისი. რსფსრ-სა და კუბის წყალბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 4:2.

◆ **ბერლინი,** 10 მაისი. ძალოსანთა აქ მიმდინარე დიდ საერთაშორისო ტურნირში ორი მაღალი შედეგი იქნა ნაჩვენები სამჭიდში. მძიმე წონის ბელგიელმა ათლეტმა, 24 წლის ს. რედინგმა დააგროვა 522,5 კგ (175+147,5+200). მსუბუქ წონაში ოლიმპიურ ჩემპიონს, პოლონელ ვ. ბაჟანოვსკის ქვესაშუალო წონაში იაპონელი ოუტის მსოფლიო რეკორდამდე სულ 2,5 კგ დააკლდა. ბაჟანოვსკის შედეგია 450 კგ (145+132,5+172,5).



სურათზე: ევროპის ჩემპიონი ძიუ-დოში, სსრ კავშირის ნაკრები (მარცხნიდან მარჯვნივ) — ს. სუსლინი, ო. სტეპანოვი, ვ. პოკატაევი, ა. ქიბროწაშვილი, ა. კიკნაძე. ფ. ჩიკვილაძე მხოლოდ პირადი პირველობისთვის იბრძოდა, ამიტომაც არ არის იგი ჩვენი გუნდის შემადგენლობაში.

ფოტო ვ. უნ და-სინისა და ვ. შანდრინისა (საქდესი).

## კარგი გაკვეთილი

მონტევიდეო, 10 მაისი (საქდესის კორესპონდენტები ა. გომელსკი და ე. ელშოვი). ძნელი აღსაწერია ის აღტაცება, რომელმაც მოიცვა „პენიაროლის" დარბაზში შეკრებილი 6 ათასი მაყურებელი, როცა დამთავრდა სსრ კავშირისა და ურუგვაის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი. მასპინძლებმა მოიპოვეს თავიანთი პრესტიჟისათვის ფრიად მნიშვნელოვანი გამარჯვება, თუმცა ანგარიში მინიმალური იყო — 69:67.

ჩვენები დაწინაურდნენ, მაგრამ სულ მალე ურუგვაელებმა ნერვები დაიმშვიდეს და წინ გავიდნენ. ძალიან შედეგიანი აღმოჩნდა ტანმორჩილი ხანგი ჰერნანდესი, რომლისათვის ჩვენი პრესინგი გადაულახავ წინაღობას როდი წარმოადგენდა. პირველი ტაიმი მოიგეს მასპინძლებმა — 33:25.

სამწუხაროდ, კვლავ უნდა ვილაპარაკოთ მსაჯობაზე. ურუგვაის გუნდის ზოგიერთი მოთამაშე 5 პერსონალური ჯარიმის მიღების მიუხედავად მაინც განაგრძობდა თამაშს. მაგალითად, პისანომ 3 ბურთიც კი მოათავსა ჩვენს კალათში, ხოლო გადია თამაშობდა... 7 შენიშვნის შემდეგაც.

მიუხედავად ამისა, ურუგვაისთან მატჩი საინტერესო და, თანაც, ჭკუის სასწავლებელი იყო ახალგაზრდა საბჭოთა მოთამაშეებისათვის. ყველაზე კარგად მოქმედებდა აუღელვებელი ტომპსონი, დანარჩენებმა „სამიანზე" ითამაშეს.

# ძიუ-დოისტები — პრიზიორები

### ა. კიკნაძე — ჩემპიონი აბსოლუტურ წონაში

**ლუქსემბურგი,** 10 მაისი. ოქროს 4, ვერცხლის 2 და ბრინჯაოს 5 მედალი — ასეთი მდიდარი ნადავლი მოიხვეჭეს ევროპის ჩემპიონატში საბჭოთა ძიუდოისტებმა.

პირად ჩათვლაში საპრიზო ადგილები შემდეგნაირად განაწილდა:

**მსუბუქი წონა — 1. ს. სუსლინი (სსრ კავშირი),** 2. ჟ. მელე (საფრანგეთი), 3. ე. კლაინი (ჰოლანდია) და ს. ფესტი (საფრანგეთი).

**ქვესაშუალო — 1. ო. სტეპანოვი (სსრ კავშირი),** 2. ჩ. ლაკსა (პოლონეთი), 3. ა. ბოგოლიუბოვი (სსრ კავშირი) და ი. შროდერი (გდრ).

**საშუალო — 1. პ. სნაიდერსი (ჰოლანდია),** 2. ვ. პოკატაევი (სსრ კავშირი), 3. ა. კოტიკი (სსრ კავშირი) და მ. პოგლანი (ჰოლანდია).

**ქვემძიმე — 1. ი. გოუვეკიუვი (ჰოლანდია),** 2. ფელში (გფრ), 3. ა. ქიბროწაშვილი და ა. იუდინი (ორივენი — სსრ კავშირი).

**მძიმე — 1. ვ. რიუსკა (ჰოლანდია),** 2. ფ. ჩიკვილაძე (სსრ კავშირი), 3. დ. ჯიკი (ინგლისი) და გ. მონციკი (გფრ).

**აბსოლუტური — 1. ა. კიკნაძე (სსრ კავშირი),** 2. ა. მაიერი (გფრ), 3. კ. ჰერნინგი (გდრ) და ვ. საუნინი (სსრ კავშირი).

გუნდურ ჩათვლაში პრიზიორები გახდნენ: 1. **სსრ კავშირი,** 2. საფრანგეთი, 3. გდრ და ჰოლანდია.

## ერთხელ კიდევ...

კარლსრუე, 10 მაისი. სსრ კავშირის თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ უძლიერესნი არიან. ევროპის აქ დამთავრებული ჩემპიონატის გუნდურ ჩათვლაში მათ 40 ქულით I ადგილი მოიპოვეს. ჩემპიონთა ნადავლია ოქროს 6 და ბრინჯაოს 1 მედალი. თურქეთის გუნდი 39 ქულით II ადგილზე გავიდა (ოქროს 2, ვერცხლისა და ბრინჯაოს 3-3 მედალი). III ადგილზეა ბულგარეთის ნაკრები — 25 ქულა (ვერცხლის 3 და ბრინჯაოს 2 მედალი).

გაზეთ „რაინიშე პოსტს" ყველაზე დიდ მოულოდნელობად მიაჩნია შ. ლომიძის გამარჯვება მსოფლიოს ჩემპიონთან, თურქ ა. აიკთან. გაზეთ „ნოიე რაინ-ცაიტუნგს" მოჰყავს ამ ჭიდილის ანგარიში — 5:2 ქართველი ათლეტის სასარგებლოდ. ამავე გაზეთს მიაჩნია, რომ ტექნიკის მხრივ ყველას ჯობდა ზ. ბერიაშვილი.

პირად ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

უმჩატესი წონა — 1. ესენჟელი (თურქეთი), 2. ნეფი (გფრ), 3. კროპი (პოლონეთი).

მჩატე — 1. იბრაჰიმოვი (სსრ კავშირი), 2. პატრიკოვი (ბულგარეთი), 3. სევინჩი (თურქეთი).

ქვემსუბუქი — 1. თედეევი (სსრ კავშირი), 2. დინევი (ბულგარეთი), 3 ყაბანლი (თურქეთი).

მსუბუქი — 1. ბერიაშვილი (სსრ კავშირი), 2. აგრალი (თურქეთი), 3. ბიმბალოვი (ბულგარეთი).

ქვესაშუალო — 1. შახმურადოვი (სსრ კავშირი), 2. ათალაი (თურქეთი), 3. სლადჩიკოვი (ბულგარეთი).

საშუალო — 1. გიუნგიორი (თურქეთი), 2. ურბანჩიკი (ჩეხოსლოვაკია), 3 ცხოვრებოვი (სსრ კავშირი).

ქვემძიმე — 1. ლომიძე (სსრ კავშირი), 2. აიკი (თურქეთი), 3. ჩატარი (უნგრეთი).

მძიმე — 1. მედვედი (სსრ კავშირი), 2. აჰმედოვი (ბულგარეთი), 3. ილმაზი (თურქეთი).

**12 მაისს**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართება საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის III რესპუბლიკური კონფერენცია.

დასაწყისი 10 საათზე.

# უპირატესობა აშკარა იყო

გასულ კვირას თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა ტანმოვარჯიშე ქალთა საერთაშორისო ტურნირი. სავალდებულო ვარჯიშების შესრულების შემდეგ უკვე ცხადი გახდა, რომ სსრ კავშირის ნაკრებს ნამდვილ მეტოქეობას ვერავინ გაუწევდა და მწვავე ბრძოლა II გუნდური ადგილისთვის გდრ-ისა და უნგრეთის გუნდებს შორის გაიმართებოდა. ტურნირის მეოთხე მონაწილე — პოლონეთის კოლექტივი თავისი ძალითა და უნარით ყველას საგრძნობლად ჩამორჩებოდა...

პირველი დღის ასპარეზობის შემდეგ გდრ-ის გუნდს მხოლოდ 0,2 ქულით ჩამორჩნენ უნგრელი ტანმოვარჯიშეები, დასკვნითი პაექრობისას კი მათი „ქიშპობა" უფრო მძაფრი და საინტერესო გახდა. 6 იარაღზე ვარჯიშის შემდეგ უნგრელები დაწინაურდნენ და მხოლოდ ბოლო იარაღმა გადაწყვიტა ეს წარმტაცი დავა გდრ-ის ტანმოვარჯიშეთა სასარგებლოდ.

ლიდერობისთვის ბრძოლა პირად შეჯიბრებაშიც სსრ კავშირის წარმომადგენელთა შორის გაჩაღდა. მაყურებელი განსაკუთრებით მოხიბლა ჩვენი ქვეყნის შარშანდელმა აბსოლუტურმა ჩემპიონმა, ლენინგრადელმა მოსწავლემ ნ. კუჩინსკაიამ. ამ შესანიშნავმა გოგონამ ყველა იარაღზე ბრწყინვალედ ივარჯიშა და უკან ჩამოიტოვა ისეთი ფავორიტები, როგორიც არიან ლ. ლატინინა და პ. ასტახოვა. კუჩინსკაიამ სამართლიანად დაისაკუთრა პირველობა.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ა. ჯანუყაშვილი სავალდებულო პროგრამის შესრულების შემდეგ II ადგილზე იმყოფებოდა. იგი ბოლო იარაღამდე ინარჩუნებდა საპრიზო ადგილზე გასვლის შანსს, მაგრამ ძელი მისთვის „საბედისწერო" აღმოჩნდა: მას ის-ის იყო მაღალი შედეგით უნდა დაემთავრებინა რთული ვარჯიში, რომ იარაღიდან ჩამოვარდა... მართალია, ჯანუყაშვილმა განაგრძო ვარჯიში, მაგრამ დანაკარგს, აბა, როგორ აინაზღაურებდა?! და აი, მან წინ გაუშვა არა მარტო სსრ კავშირის 1964 წლის აბსოლუტური ჩემპიონი ლ. პეტრიკი, არამედ ასტახოვაც და IV ადგილი დაიკავა.

ძელზე საუცხოოდ ივარჯიშა კუჩინსკაიამ, რაც მსაჯებმაც „დაადასტურეს" — 9,85 ქულა მიანიჭეს. მაღალი შედეგი ჰქონდა პეტრიკსაც — 9,7.

სტუმრებიდან ყველაზე კარგად გამოვიდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები უ. შტარკე და ე. ბარტ-ცუპოლდი, რომლებმაც V-VI ადგილები გაიყვეს. შემდეგ მოდიან უნგრელები ა. დუცა და კ. მაკრაი.

მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა გდრ-ის გუნდმა. აღსანიშნავია ბარტ-ცუპოლდის მიერ ნაირსიმაღლის ძელზე შესრულებული რთული და ორიგინალური ილეთების ნაერთი, რისთვისაც მას „ლელოს" სპეციალური პრიზი მიენიჭა.

დანარჩენი ჯილდოების მფლობელნი გახდნენ — „ახალგაზრდა კომუნისტის" და „ვეჩერნი ტბილისისა" — კუჩინსკაია, გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიისა" — პეტრიკი.

ეს წარმტაცი შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩატარდა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ტურნირის მთავარ მსაჯს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს მ. ჯუღელს.

მადლობის ღირსნი არიან ჩვენი სტუმრების შეფები, რომლებმაც ბევრი საინტერესო ღონისძიება გამართეს მათს საპატივცემულოდ. გერმანელ სპორტსმენებს შეფობდა აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა, პოლონელებს — მაუდ-კამვოლის კომბინატი, უნგრელებს — თბილისის საკონდიტრო კომბინატი, ხოლო სსრ კავშირის ნაკრების წევრებს — კიროვის სახელობის ჩარხსაშენი ქარხანა და წინდების ფაბრიკა „კრწანისი".

**ო. ქორქია,**
სპორტის ოსტატი.

• • •

სურათზე: „ლელოს" პრიზის მფლობელი ე. ბარტ-ცუპოლდი ასრულებს თავისუფალ ვარჯიშს.

ფოტო ბ. ქვათაძისა.



# მშვიდობის ველორბოლას სტარტი მიეცა

პრაღა, 9 მაისი. ველოსპორტის მოყვარულთა მრავალრიცხოვანმა არმიამ მოიყარა დღეს თავი ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო სპორტულ ბაზაზე — „სლავიის" სტადიონზე. აქ გაიმართა მშვიდობის XIX საერთაშორისო ტრადიციული ველორბოლის გახსნის ცერემონიალი. ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტი ა. როდონი (იტალია) მხურვალედ მიესალმა ველორბოლის მონაწილეებს — 17 ქვეყნის მრბოლელებს და აღნიშნა, რომ ეს შეჯიბრება იქცა მშვიდობისა და მეგობრობის ესტაფეტად.

I ეტაპის სტარტზე გამოვიდა 102 სპორტსმენი. ბრძოლა თავიდანვე მწვავედ და საინტერესოდ წარიმართა. 121-კილომეტრიანი ეტაპი პრაღის მიდამოებში მოიგო ა. პეშელმა (გდრ) — 2:58.44,0. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესონი იყვნენ ა. პეტროვი და ა. დოხლიაკოვი, რომლებმაც XIV-XV ადგილები დაიკავეს. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს იტალიელებმა.

მშვიდობის ველორბოლას მისი ორგანიზატორების — „რუდე პრავოს" (ჩეხოსლოვაკია), „ნოიეს დოიჩლანდის" (გდრ) და „ტრიბუნა ლიუდუს" (პოლონეთი) გარდა, ფართოდ აშუქებენ სხვა გაზეთებიც.

ანგარიშგება-არჩევნები

# გეგმა ქაღალდზე რჩება

ჩატარდა სამხრეთ ოსეთის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის III საოლქო კონფერენცია. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა სპორტკავშირის თავმჯდომარე ა. თედეევი. სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ ილაპარაკა ზ. ჯიოევმა.

— ამჟამად ოლქში 226 ფიზკულტურული კოლექტივია, რომლებშიც 27 ათასამდე კაცია გაერთიანებული, — თქვა მომხსენებელმა. — ამ ორ წელიწადში ჩვენი ოლქის სპორტის ოსტატთა რიგებს 4-ის ნაცვლად 12 კაცი შეემატა, დროულად და გადაჭარბებით შესრულდა თანრიგოსანთა და ნიშნოსანთა მომზადების გეგმები. ჩვენი სპორტსმენები სისტემატურად მონაწილეობენ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში და ერთგვარი მიღწევებიც აქვთ. საქართველოს პირველობაზე ძალოსნობაში (II ჯგუფში) ჩვენებმა I ადგილი დაიკავეს; II ადგილები მოიპოვეს ფრენბურთელებმა და ჭაბუკმა სამბისტებმა; ტანვარჯიშში III საპრიზო ადგილი დაიკავა ჭაბუკთა გუნდმა; მოთხილამურენი II ჯგუფის გუნდებს შორის რესპუბლიკაში II ადგილზე არიან.

ოლქის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში სპორტის 20-მდე სახეობაა დანერგილი. ამ ბოლო დროს საგრძნობ წარმატებებს მიაღწიეს თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა, ტანმოვარჯიშეებმა, ველოსიპედისტებმა... მაგრამ ჩამოვრჩებით ქართულ და კლასიკურ ჭიდაობაში, კალათბურთში. პოზიციები დათმეს ძალოსნებმა და მოკრივეებმა...

მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის დაბალი დონე ერთი რომელიმე მიზეზით კი არაა გამოწვეული, არამედ მიზეზთა მთელი ჯაჭვით. სპორტული ბაზებისა და კადრების სიმცირე ამ ჯაჭვის ყველაზე სუსტი რგოლებია. სპორტული მოედნები და ნაგებობები ცოტა გვაქვს, მაგრამ რაც არის, ისიც გამოუყენებელი და მოსაწყობია. ბევრ სოფელში მოედნები გადახნეს. მეტად გაჭიანურდა სპორტული სკოლის მშენებლობა ცხინვალში.

ფიზკულტურის ხელმძღვანელი ორგანიზაციების მხრივ სუსტი კონტროლის გამო ბევრ კოლექტივში (განსაკუთრებით, სოფლად) მუშაობა ჩაშლილია. საოლქო სპორტკავშირი თავის მიერ დაგეგმილი შეჯიბრებების გამართვისთვისაც კი არ იწუხებს თავს. შარშან, მაგალითად, 27 ღონისძიებიდან მხოლოდ 12 განხორციელდა. ზნაურის სპორტკავშირმა 17-ის ნაცვლად 3 შეჯიბრება ჩაატარა. ზნაურს არც ჯავისა და ლენინგორის სპორტკავშირები „ჩამორჩნენ".

მოხსენებების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ცხინვალის, ზნაურის, ლენინგორისა და ჯავის სპორტკავშირების თავმჯდომარეებმა გ. ჩიკვილაძემ, ზ. თხელიძემ, რ. მარგიევმა და შ. თედეევმა, „სპარტაკის" საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ხ. ჩიბიროვმა, ცხინვალის მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლის დირექტორმა ნ. გაზაევმა, „კოლმეურნის" საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ა. გალეგაშვილმა, ცხინვალის [illegible] სასწავლო ნაწილის გამგემ ე. სანაკოევმა და საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ლ. სანაძემ.

კონფერენციამ მიიღო ღონისძიება, აირჩია სპორტკავშირის საოლქო საბჭოსა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობანი, აგრეთვე საქართველოს სპორტკავშირის III კონფერენციის დელეგატები.

გაიმართა პლენუმი, რომელმაც სამხრეთ ოსეთის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ ა. თედეევი აირჩია.

ვ. მელქოევი.
(ჩვენი კორ).

ცხინვალი.

# რაც წინსვლას აფერხებს

ცხაკაიის სპორტკავშირის III კონფერენციაზე შეკრებილ დელეგატებს რაისაბჭოს მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მუშაობის შესახებ მოუთხრო სპორტკავშირის პრეზიდიუმის წევრმა, სპორტსკოლის დირექტორმა შ. ჩიქობავამ.

— ჩვენი რაიონის 82 ფიზკულტურული კოლექტივი 6 ათასზე მეტ კაცს აერთიანებს, — თქვა მომხსენებელმა. — ცხაკაიელმა ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა ნაყოფიერად იმუშავეს და გადაჭარბებით შეასრულეს ნიშნოსნების, სპორტსმენ-თანრიგოსნების, საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების გეგმა. მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის კარგად წარმართვით გამოირჩევიან: ქალაქის 1-ლი და მე-4 (დირექტორები ნ. კაკაშვილი და ი. ბახტაძე, ფიზაღზრდის მასწავლებლები კ. ჯოჯუა და მ. ადამია), ძველი სენაკის (ი. მიქაძე, ბ. ესებუა) საშუალო სკოლების, ხალიჩების საქსოვი კომბინატის (დირექტორი მ. ნაროუშვილი, ფიზკულტურის ინსტრუქტორი ზ. გახარია), ფოცხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ი. ჭაავა, ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე გ. შამათავა), ტეხურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი — სოციალისტური შრომის გმირი დ. შამათავა, ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე კ. მგალობლიშვილი) და სხვა ორგანიზაციები.

საანგარიშო პერიოდში, რაც წელიწადნახევარს მოიცავს, ცხაკაიელები წარმატებით გამოვიდნენ რესპუბლიკურ ტურნირებში ფეხბურთში, ჭადრაკში, კალათბურთში. აქ ჰყავთ კარგი ხელბურთელები, ფრენბურთელები, მოჭიდავეები, მძლეოსნები. სპორტსკოლის ინიციატივით, მოსწავლე-მძლეოსანთა რაიონული ტურნირი წლეულს პირველად ჩატარდა ცალ-ცალკე სოფლისა და ქალაქის სკოლებისთვის.

მომხსენებელმა უფრო ვრცლად ილაპარაკა ნაკლოვანებებზე. მან აღნიშნა, მაგალითად, რომ ძლიერ ფიზკულტურულ კოლექტივად ითვლება ძველი სენაკის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა, მაგრამ ამ კარგ სახელს ახლა საფრთხე ემუქრება: დირექტორმა ა. კურდღელიამ ინსტრუქტორ-მეთოდისტის შტატი გააუქმა და თ. კუპრეიშვილი მთლიანად ჩამოაშორა ფიზკულტურულ საქმიანობას. ზანის, ეკის, უშაფათის საშუალო სკოლებში იშვიათად ეწყობა სასკოლო ტურნირები, რაიონულ ასპარეზობებში აქაური მოსწავლეები თითქმის არ მონაწილეობენ.

ავტოსატრანსპორტო კანტორის დირექცია (დირექტორი ლ. შეროზია) სათანადოდ არ ეხმარება ფიზკულტურელებს და მხოლოდ საბჭოს თავმჯდომარის რ. წულეისკირის მონდომებითაა, რომ აქაურები ზოგჯერ მაინც გამოდიან შეჯიბრებებში.

თეკლათის კალინინისა (თავმჯდომარე კ. ლაშქარავა) და ჭაკჭაკაძის (ხ. გრიგოლია), ეკის (ლ. ყურაშვილი) კოლმეურნეობებში, გეჯეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ვ. მზარელუა) შესაძლებლობანი გამოუყენებელია. ახალსოფლის კოლმეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივს კარგი მაჩვენებლები ჰქონდა მანამ, ვიდრე გამგეობას ნ. ცხვიტარია ხელმძღვანელობდა. მისი შემცვლელის — კ. გვასალიას მოსვლის მერე კი მუშაობა შეფერხდა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტრაიკომის ინიციატივით რაიონში აშკარად იგრძნობა ახალ სპორტნაგებობათა მოწყობაზე ზრუნვა, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალიან ბევრია.

— სპორტკავშირის მუშაობაში იყო საფინანსო დარღვევები. საშემოსავლო გეგმის შეუსრულებლობის გამო საანგარიშო პერიოდში სპორტკავშირის დავალიანებამ 11 ათასი მანეთი შეადგინა, — თქვა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ი. ბუზუნავამ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ლ. გვასალიამ (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ფიზაღზრდის მასწავლებელი), შ. ალანიამ (რკინიგზის ვაგზლის უფროსი), მ. ქურდოვანიძემ (სპორტსკოლის მწვრთნელი ჭადრაკში), გ. ალექსანდრიამ (სამხედრო კომისარი), გ. ლომაიამ (დოსააფის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე), ა. ყურაშვილმა („კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარე), ა. ადამიამ (კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი), მ. ქვარცხავამ (პარტრაიკომის მდივანი).

ისინი გულისტკივილით ლაპარაკობდნენ, რომ სოფლის სკოლების კურსდამთავრებულთა უმეტესობას არა თუ სათანადო ფიზიკური მომზადება არა აქვს, არამედ ხშირად სპორტინვენტარის სახელიც კი არ იცის. მსჯელობდნენ საცხენოსნო სპორტის დაკარგული ტრადიციის აღდგენის აუცილებლობაზე; წვევამდელებთან მუშაობაზე; იმაზე, რომ ქალაქში დოსააფს ერთი ტირიც კი არ გააჩნია. დელეგატებს გააცნეს კომკავშირის რაიკომის გადაწყვეტილება: მიზიდული თანხებიდან 600 მანეთი ცენტრალურ სტადიონზე ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნების მოწყობას მოახმარონ. ილაპარაკეს რესპუბლიკური სპარტაკიადისთვის სამზადისზე და სხვ.

კონფერენციამ აირჩია სპორტკავშირის რაისაბჭოსა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობანი, აგრეთვე, საქართველოს სპორტკავშირის III კონფერენციის დელეგატები, რის შემდეგ შედგა ახალარჩეული რაისაბჭოს I პლენუმი. პლენუმმა ცხაკაიას სპორტკავშირის თავმჯდომარედ აირჩია შ. ჩიქობავა, მოადგილედ — კომკავშირის რაიკომის მდივანი ი. მილორავა.

ო. ივლოშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ცხაკაია.

# დახმარებას საჭიროებენ

წულუკიძის რაიონის 59 ფიზკულტურულ კოლექტივში 7775 კაცია გაერთიანებული. ჰყავთ მოწინავე ორგანიზაციები: წითელი ვარსკვლავისა და პატარა ჯიხაიშის რვაწლიანი, წულუკიძისა და მათხოჯის საშუალო სკოლები, სკოლა-ინტერნატი, ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკა, მე-8 და მე-9 პროფტექსასწავლებლები, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკუმი და სხვ.

მუშაობა გარდაქმნეს „კოლმეურნისა" და „სპარტაკის" რაისაბჭოებმა. სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ტექნიკუმმა შარშან ამ ტიპის სასწავლებლების რესპუბლიკურ დათვალიერებაში II ადგილი მოიპოვა, რისთვისაც „კოლმეურნის" ცენტრალურმა საბჭომ დიპლომითა და სპორტინვენტარით დააჯილდოვა. ბავშვთა სპორტსკოლაში ნაყოფიერად მუშაობენ კალათბურთის, ფეხბურთის, ხელბურთის ჯგუფები, მძლეოსნობის ჯგუფების საქმიანობას კი ის აფერხებს, რომ რაიონში არსადაა სარბენი ბილიკები და სექტორები. სამწუხაროდ, ბევრი კოლექტივი ჯერ კიდევ ჩამორჩება მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ საქმიანობაში. ეს განსაკუთრებით ითქმის კუხის საშუალო, ღვედისა და კონტუათის რვაწლიან სკოლებზე, სოფლ-ტექნიკას, რაიკავშირზე, ძძილეთის, ღვედის, კინჩხის კოლმეურნეობებზე, სინთეზურ ნაკეთობათა ქარხნის, გუბისა და წულუკიძის ჩაის ფაბრიკებისა და რაიონული საავადმყოფოს ფიზკულტურულ ორგანიზაციებზე.

ბევრ სკოლაში კარგადაა დაყენებული მეცადინეობის დაწყებამდე ვარჯიში, სექციების მუშაობა, ეწყობა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები, სამატჩო შეხვედრები, მოსწავლეები რეგულარულად მონაწილეობენ რაიონულ ტურნირებში. მაგრამ ყველგან ასე როდია. ფიზაღზრდის სწავლება დაბალ დონეზეა დაწყებით სკოლებშიც, სადაც ამ საქმეს არასპეციალისტები ხელმძღვანელობენ. ფიზაღზრდის გაკვეთილებს ისინი ხშირად სხვა საგნების სწავლებისთვის იყენებენ. სკოლებს საკმაოდ არა აქვთ სპორტინვენტარი... მე-2 საშუალო სკოლას ღია ცის ქვეშ სამეცადინო არავითარი ბაზა არ გააჩნია.

ბაზების სიმცირე იგრძნობა კოლმეურნეობებშიც. ეს იმითაცაა გამოწვეული, რომ კოლმეურნეობათა გამგეობები, ფიზკულტურის საბჭოები არ იჩენენ ინიციატივას მარტივი ტიპის მოედნების მოწყობაში. დღემდე ვერ განახორციელეს პარტიის რაიკომის ბიუროს დადგენილება — გამოხმაურებოდნენ შემოქმედელი, ვარკეთილელი და ვაზისუბნელი ახალგაზრდების წამოწყებას. ამ მხრივ სასიამოვნო გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ივანდიდის კოლმეურნეობა. პირდაპირ საოცარია გოჩა ჯიხაიშისა და კუხის კოლმეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეების გ. ანდრიაძისა და ა. ტყაბლაძის განცხადება — ჩვენ ფიზკულტურა არ გვჭირდებაო.

მცირეა კოლმეურნე-სპორტსმენ ქალთა რიცხვი. რაიონულ ღონისძიებებში ისინი რატომღაც საერთოდ არ მონაწილეობენ.

ყოველივე ამაზე ილაპარაკეს საანგარიშო მოხსენებებში წულუკიძის სპორტკავშირის ამას წინათ გამართულ კონფერენციაზე: სპორტკავშირის თავმჯდომარემ ა. ყუფარაძემ, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ უ. კაკაბაძემ და მოკამათეებმა შ. ჩარგეიშვილმა (სპორტსკოლის დირექტორი), ჯ. სანოძემ (ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის ფიზკულტურული საბჭოს თავმჯდომარე), ნ. სანოძემ („კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარე), ნ. ჩაკვეტაძემ (მე-2 საშუალო სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი), შ. ყუფარაძემ (მე-8 პროფტექსასწავლებელი), ი. სალინაძემ (პატარა ჯიხაიშის 8-წლიანი სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი), გ. ფირცხალავამ (პარტრაიკომის პროპაგანდა-აგიტაციის განყოფილების გამგე) და სხვ.

გულისტკივილით აღინიშნა ისიც, რომ „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს წარმომადგენლები წულუკიძეში „დახმარებისთვის" წლის ბოლოს ჩამოდიან და ფიზკულტურული კოლექტივების ხელმძღვანელებს აიძულებენ ქაღალდზე გადაჭარბებით შეასრულონ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა. სუსტია „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს დახმარება. რაიონი განიცდის მეთოდური ლიტერატურის სიმცირეს. მართალია, რაიონში რაღაც ნაბიჯი გადაიდგა ცხენოსნობის განვითარებისთვის — გამოიყო ტერიტორია იპოდრომისთვის, მაგრამ... ცხენები არ არის.

ნაკლოვანებების მიუხედავად, შეჯიბრებების ხშირი გამართვით და სპორტსმენთა ტექნიკური დონის ზრდით, შარშან რაიონში მაინც შეძლეს გადაჭარბებით შეესრულებინათ გეგმა. გათვალისწინებული 2 პირველთანრიგოსნის ნაცვლად მოამზადეს 13, 68 მეორეთანრიგოსნის მაგიერ — 139, სხვა თანრიგებზე — 737-ის ნაცვლად 1256. იმატა ნიშნოსანთა რიცხვმა და საზოგადოებრივმა კადრებმა.

კონფერენციამ საქართველოს სპორტკავშირს სთხოვა დაეხმაროს რაიონს სტადიონის კეთილმოწყობასა და ახალგაზრდობის სპორტსკოლის ჯგუფების გახსნაში.

დასასრულ კონფერენციამ აირჩია სპორტკავშირის რაისაბჭოსა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობანი, აგრეთვე, საქართველოს სპორტკავშირის III კონფერენციის დელეგატები. შემდეგ შედგა I პლენუმი. პლენუმმა წულუკიძის სპორტკავშირის თავმჯდომარედ ისევ ა. ყუფარაძე აირჩია, მოადგილედ კი — კომკავშირის რაიკომის მდივანი შ. შავლაძე.

ო. გელაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

წულუკიძე.

## მეტი კონტროლი ფიზკულტურის კოლექტივებს!
## საცხენოსნო სპორტი უნდა აღდგეს!
## სად ხართ, წულუკიძელო სპორტსმენო ქალებო?!

# ამიერიდან...

დიდი სპორტული ზეიმი იყო გასულ შაბათს გორში. რეკონსტრუირებულ ცენტრალურ სტადიონზე 10 ათასამდე მაყურებელმა მოიყარა თავი. 4 საათზე დაიწყო ქალაქის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა აღლუმი. მწვანე მინდორზე ერთმანეთს ცვლიდნენ 1-ლი, მე-2, მე-4, მე-5, მე-6 და მე-11 საშუალო სკოლების მოსწავლეები, რომლებმაც მოხდენილად შეასრულეს მასობრივი კომბინირებული ვარჯიში.

საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა მძლეოსნურ ბილიკებზე.

მაყურებელთა ტაში დაიმსახურეს ბავშვთა ტანვარჯიშული სპორტსკოლის აღსაზრდელებმა ქ. ცეცხლაძემ, მ. ახალაძემ, რ. მჭედლიშვილმა, ბ. გეგეჭკორმა, ი. ჭიღლაძემ...

მწვანე მინდორზე ფეხბურთის ბურთი პირველებმა ნორჩმა მოთამაშეებმა აისროლეს. მათი ასპარეზობის შემდეგ სარბიელი დიდ ფეხბურთს დაეთმო. გორის „დილასა" და კაფანის „ლერნაგორცის" გუნდების კაპიტნებმა საზეიმოდ აღმართეს ქართლის გულში სპორტული სეზონის გახსნის ალამი.

სტადიონზე ამიერიდან ფართოდ გაიშლება ფიზკულტურულ-სპორტული და მასობრივ-გამაჯანსაღებელი საქმიანობა.

თ. გაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

გორი.



ს უ რ ა თ ზ ე: მძლეოსანთა შეჯიბრების ერთ-ერთი მომენტი. 100 მეტრზე რბენის ფინიშთან პირველი მიიჭრა რ. ზედგინიძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

# ცნობა წითელწყაროდან

წითელწყაროს სპორტკავშირის II კონფერენციაზე თავი მოიყარეს ფიზკულტურული კოლექტივების თავმჯდომარეებმა, მწვრთნელებმა, ფიზაღზრდის მასწავლებლებმა, სპორტსმენებმა, პარტიულმა, კომკავშირულმა მუშაკებმა და სხვ.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა სპორტკავშირის თავმჯდომარე გ. ყოჩიაშვილი, რომელმაც ილაპარაკა ფიზკულტურასა და სპორტში არსებულ წარმატებებსა და ნაკლოვანებებზე.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ი. ბალაშვილმა (საქართველოს კპ წითელწყაროს რაიკომის მეორე მდივანი), დ. გონაშვილმა (ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი), პ. პატატიშვილმა („კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარე), დ. გოგაშვილმა (სპორტსკოლის დირექტორი), მ. პაპიაშვილმა (საქართველოს ალკკ წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი) და სხვ.

კონფერენციის შემდეგ გაიმართა არჩევნები და ჩატარდა პლენუმი. წითელწყაროს სპორტკავშირის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს გ. ყოჩიაშვილი, ხოლო მოადგილედ — დ. გიგაშვილი.

ა. ჯალიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# მძლეოსნებმა „შემოხაზეს" რკალი

გუშინწინ გამართული მძლეოსნური ამანათრბენი „თბილისის რკალი" ფაშისტურ გერმანიასთან გამარჯვების დღეს მიეძღვნა. შეჯიბრებაში დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, ბავშვთა სპორტსკოლებისა და არმიელთა სპორტკლუბის 17 გუნდი მონაწილეობდა. 19 ეტაპად დაყოფილი სარბიელის საერთო სიგრძე 6 კილომეტრს აღემატებოდა. გმირთა მოედნიდან ლენინის ქუჩის, რუსთაველის პროსპექტის, ლენინის მოედნის, ჯორჯიაშვილის ქუჩის, კ. მარქსის მოედნისა და პლეხანოვის პროსპექტის გავლით სპორტსმენებს ესტაფეტა უნდა მიეტანათ კინოსტუდია „ქართულ ფილმთან", იქიდან კი — ისევ გმირთა მოედანზე...

პირველი ორი ეტაპი განსაკუთრებით ძნელი იყო. ამიტომ, ყველა გუნდმა სწორედ ამ მონაკვეთზე მოუყარა თავი მთავარ ძალებს. ბრძოლა დასაწყისშივე გამწვავდა და მეორე ეტაპზე ერთდროულად რამდენიმე სპორტსმენმა გადასცა ესტაფეტა თანაგუნდელებს.

მათ შორის არ ჩანდა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრი ვ. რიაბინკინი. სამაგიეროდ, II ეტაპზე თავი ისახელა ი. ზეინან-ოღლიმ. მან არა თუ რიაბინკინის დანაკარგი აანაზღაურა, არამედ თანაგუნდელ ლ. ჩაიკოვას საშუალება მისცა ყველაზე ადრე შედგომოდა III ეტაპს. ლიდერს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის კოლექტივი.

IV ეტაპზე — რუსთაველის მოედანი — „ზარია ვოსტოკას" რედაქცია — ნ. ბახტაძემ ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი კიდევ უფრო დააწინაურა, ხოლო ი. პრიმანმა მომდევნო ეტაპზე სხვაობა 200 მეტრამდე გაზარდა და უკვე აშკარა გახდა, რომ ამ კოლექტივს ველარავინ აჯობებდა.

სამაგიეროდ, უმაღლესი სასწავლებლების ჯგუფში II-III ადგილისთვის დაძაბული ბრძოლა გაიმართა უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების გუნდებს შორის. ერთხანს მათ ღირსეულ მეტოქეობას უწევდნენ II ჯგუფის კოლექტივების წარმომადგენლები — მანქანათმშენებელი და პოლიტექნიკური ტექნიკუმის, აგრეთვე, ორჯონიკიძისა და 1 მაისის რაიონების ბავშვთა სპორტსკოლების გუნდები, რომლებიც III ჯგუფში ასპარეზობდნენ.

VII-XII ეტაპებზე ნ. გეგენავას, ო. კობჩიკის, ი. ცანავას, ი. სოვეტკინის, ჯ. ჭილაიას, მ. ტუღუშისა და ი. მიხაილჩენკოს ენერგიული ბრძოლით ფიზკულტურის ინსტიტუტსა და მის უახლოეს მეტოქეს—უნივერსიტეტის გუნდს შორის სხვაობამ 400 მეტრს მიაღწია, მაგრამ ი. აგაპოვს გაუჭირდა XII ეტაპის (450 მ) გარბენა და ეს სხვაობა საგრძნობლად შემცირდა. ეს იყო ლიდერის ერთადერთი სუსტი რგოლი. მერე ა. ანტონოვის, ჯ. სხულუხიას, ლ. ვასილენკოს, ტ. ბახტაძის, თ. როჟმანოვასა და რ. მამალაძის მეცადინეობით „მექანიზმი" ისევ აეწყო და აშკარა უპირატესობით გამარჯვებაც ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს დარჩა. მან ამ შეჯიბრების ისტორიაში საუკეთესო დრო — 17.03,0 — აჩვენა.

ფინიშთან მეორე მივიდა უნივერსიტეტის კოლექტივი, რომელიც გამარჯვებულს 43 წამით ჩამორჩა.

კარგად გამოვიდნენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მძლეოსნები. მათ 1,6 წამით აჯობეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ძლიერ გუნდს: მომავალი აგრონომების შედეგია 18.02,4.

ამრიგად, უმაღლესი სასწავლებლების ჯგუფში თასი ძველ მფლობელს დარჩა.

ტექნიკუმების ჯგუფში პრიზი მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის მოსწავლეებმა შეინარჩუნეს — 18.25,6. II იყო პოლიტექნიკური (19.36,8), ხოლო III — მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი — 21.18,4.

სამაგიეროდ, სპორტსკოლების ჯგუფში თასს ახალი პატრონი გაუჩნდა: ორჯონიკიძის რაიონის კოლექტივი — 20.21,4. პრიზის შარშანდელ მფლობელს—26 კომისრის რაიონის სპორტსკოლის გუნდს 1 მაისის რაიონის მძლეოსნებმაც აჯობეს (20.32,0) და აიძულეს III ადგილით დაკმაყოფილებულიყო — 21.04,0.

გამარჯვებულებს, მართალია, არ ახამართლებენ, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვუსაყვედუროთ ფიზკულტურის ინსტიტუტს, მანქანათმშენებლობის ტექნიკუმსა და 26 კომისრის რაიონის სპორტსკოლას, რომ შარშან მოპოვებული გარდამავალი პრიზები არ ჩააბარეს მსაჯთა კოლეგიას, რაც ღონისძიებათა საერთო წესის უხეში დარღვევაა.

შეჯიბრება ეტაპებზე უსაფრთხოების სრული დაცვით, შეუფერხებლად ჩატარდა, რაშიც ასპარეზობის ორგანიზატორებს დიდად დაეხმარნენ ქალაქის ავტოინსპექციისა და მილიციის იმ რაიონულ განყოფილებათა მუშაკები, რომელთა ტერიტორიაზეც გადიოდა ესტაფეტა.

სამწუხაროდ, ზოგიერთმა კოლექტივმა თავი აარიდა ღონისძიებას. საინტერესოა, რატომ გაუჭირდათ გუნდების 19-19 მძლეოსნით დაკომპლექტება სამედიცინო და უცხო ენების პედაგოგიურ ინსტიტუტებს, საბჭოთა ვაჭრობის, რკინიგზის ტრანსპორტისა და ტოპოგრაფიულ ტექნიკუმებს, ოქტომბრისა და კალინინის რაიონების სპორტსკოლებს მაშინ, როცა არმიელთა სპორტკლუბმა 3 გუნდის გამოყვანა შეძლო.

ო. ოთარაშვილი.

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მარცხნივ — „თბილისის რკალის" ერთ-ერთი მომენტი; მარჯვნივ — ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრი რ. მამალაძე ფინიშთან.

ფოტო ი. იუნაევისა.

## „ა" კლასი I ჯგუფი

# მატჩები, გოლები, ავტორები...

9 მაისს მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის VI ტურის ბოლო მატჩი ადგილობრივ გუნდებს — „სპარტაკსა" და „ლოკომოტივს" შორის. სპარტაკელებმა გაიტანეს 4 ბურთი (ოსიანინი—2, სიომინი, რეინგოლდი), რასაც „ლოკომოტივმა" მხოლოდ ერთით უპასუხა (კოზლოვი).

ამ ტურის სენსაციად, რასაკვირველია, უნდა ჩაითვალოს ჩემპიონის მარცხი შინ, მოსკოვში. ტორპედოელებმა მიიღეს „შახტიორი" და წააგეს—1:2. დონეცკელთა მხრივ გოლები გაიტანეს პილიპჩუკმა და ადამოვმა, მოსკოველთაგან — მარუშკომ.

კიეველებმა კიდევ 1 ქულა მიიღეს დიდი ანგარიშით მოგებული მატჩების პრიზისთვის ბრძოლაში. მინსკში მათ 4 „მშრალი" გოლი გაიტანეს (პარკუიანი — 2, მუნტიანი, ბიშევეცი). ახლა კიევის „დინამოს" 4 ასეთი თამაში აქვს მოგებული, ხოლო მოსკოვის „დინამოს", „სპარტაკსა" და „არარატს" — თითო.

კიევის „დინამოს" ყველაზე შედეგიანი თავდასხმა ჰყავს (19 გოლი) და ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერებიც—პარკუიანი და ბიშევეცი, რომლებიც 5-5 ბურთის ავტორები არიან. გატანილი გოლებით II ადგილზეა მოსკოვის „ტორპედო" (11), ხოლო III — ქუთაისის „ტორპედო" და „სპარტაკი" — 10-10. ყველაზე ნაკლები ბურთი გაუშვა ლიდერმა — კიევის „დინამომ" — 1.

პირველი ბურთი გაიტანეს ოდესის არმიელებმა „ნეფტიანიკთან" შეხვედრაში. ეს გააკეთა პანოვმა, საპასუხო გოლის ავტორი კი მარქაროვი იყო.

როსტოვის არმიელებს „ჩერნომორეცთან" შეხვედრაში გამარჯვება მოუტანა კოლინკოსა და შიკუნოვის მიერ გატანილმა გოლებმა. მოსკოვის „დინამოს" მატჩში „ზენიტთან" დინამოელთა ბურთების ავტორები იყვნენ ავრუცკი (2) და მასლოვი, „პახტაკორისა" და „კრილია სოვეტოვის" შეხვედრაში ტაშკენტელთა მხრივ ბურთები გაიტანეს კრასნიცკიმ და მუხინმა, ხოლო მასპინძელთაგან—ჟუკოვმა.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, მაღალი შედეგიანობით გამოირჩევა ქუთაისის „ტორპედოს" კოლექტივი. 3-3 ბურთია ჩხარტიშვილისა და ნოდიას ანგარიშზე, თითო გოლის ავტორები არიან ასიტაშვილი, კუტივაძე, ერქომაიშვილი და ხაჟალია.

თბილისის „დინამოს" ბოლო ორ ტურში არც ერთი გოლი არ გაუტანია. აქ 2-2 ბურთის ავტორები არიან მაისურაძე და ასათიანი, თითოსი — იამანიძე და დათუნაშვილი.




## „ა" კლასი II ჯგუფი

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე „ა" კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფის გუნდებს შორის.

**კალინინგრადი.** აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ბალტიკა" და თბილისის „ლოკომოტივი". მატჩის ანგარიშია 1:1.

**რიგა.** ბათუმის „დინამოს" ფეხბურთელებს თავიანთი მორიგი შეხვედრა ჰქონდათ ადგილობრივ „დაუგავასთან". დინამოელები დამარცხდნენ — 1:4.

* * *

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „ყუბანი" (კრასნოდარი) — „როსტსელმაში" (როსტოვი) 1:1, „დინამო" (ტალინი) — „დინამო" (სტავროპოლი) 3:0, „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „შირაკი" (ლენინაკანი) 2:0, „სპარტაკი" (გომელი)— „სპარტაკი" (ნალჩიკი) 0:0, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „დინამო" (კიროვაბადი) 2:2, „რუბინი" (ყაზანი) — „თერგი" (გროზნო) 1:1.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ყუბანი" (კრასნოდარი) | 6 | 4 | 2 | 0 | 13—2 | 10 |
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 6 | 3 | 1 | 2 | 7—3 | 7 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 5 | 2 | 3 | 0 | 6—3 | 7 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 6 | 1 | 5 | 0 | 6—4 | 7 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 6 | 2 | 3 | 1 | 5—4 | 7 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 6 | 3 | 1 | 2 | 5—4 | 7 |
| „თერგი" (გროზნო) | 6 | 2 | 3 | 1 | 5—5 | 7 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 5 | 2 | 2 | 1 | 4—4 | 6 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 5 | 2 | 2 | 1 | 3—3 | 6 |
| „დაუგავა" (რიგა) | 6 | 1 | 3 | 2 | 8—7 | 5 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 6 | 1 | 3 | 2 | 7—7 | 5 |
| „დინამო" (ბათუმი) | 5 | 2 | 1 | 2 | 4—6 | 5 |
| „როსტსელმაში" (როსტოვი) | 6 | 1 | 3 | 2 | 4—6 | 5 |
| „სპარტაკი" (ნალჩიკი) | 6 | 1 | 2 | 3 | 4—9 | 4 |
| „დინამო" (ტალინი) | 5 | 1 | 1 | 3 | 4—6 | 3 |
| „ბალტიკა" (კალინინგრადი) | 6 | 0 | 3 | 3 | 3—9 | 3 |
| „სპარტაკი" (გომელი) | 5 | 0 | 2 | 3 | 1—7 | 2 |

## ნაკრების შემადგენლობაში

სსრ კავშირის იუნიორ ფეხბურთელთა ნაკრები ემზადება უეფა-ს ტურნირის მორიგ მატჩებში მონაწილეობის მისაღებად.

ნაკრების შემადგენლობაში, რომელიც საწვრთნელ შეკრებას გაივლის მოსკოვში, მიწვეული არიან თბილისის „დინამოს" მცველები მ. შერგელაშვილი და რ. ჭოხონელიძე და ქუთაისის „ტორპედოს" თავდამსხმელი გ. ნოდია.

## „ბ" კლასი IV ზონა

7 მაისს გაიმართა რსფსრ-ს „ბ" კლასის IV ზონის გუნდების მორიგი ტურის მატჩები.

გამარჯვება მოიპოვა გურჯაანის „ალაზანმა", რომელიც ოქტემბერიანში ხვდებოდა ადგილობრივ „სევანს". მატჩის ანგარიშია 2:1.

ზუგდიდის „ენგურმა" ფრედ ითამაშა დერბენტში ადგილობრივ „უროჟაისთან" — 0:0.

რუსთავის „მეტალურგი" დამარცხდა კიროვაკანის „ლორისთან" — 0:1.

ფოთის „კოლხიდამ" წააგო პიატიგორსკში ადგილობრივ „მაშინოსტროიტელთან" — 1:2.

ორჯონიკიძის „სპარტაკისა" და სოხუმის „დინამოს" მატჩი დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით — 1:0.



ქუთაისის „ტორპედოს" კოლექტივში წლეულს დაწინაურდა ახალგაზრდა თავდამსხმელი გ. ნოდია. ქუთაისელთა მარცხენა გარემარბმა განვლილ მატჩებში 3 ბურთი გაიტანა.

ს უ რ ა თ ზ ე: ქუთაისის „ტორპედოსა" და ალმა-ათის „კაირატის" მატჩის ერთ-ერთი მომენტი. გ. ნოდია (მუქ მაისურში) მეტოქე მცველებთან ბრძოლისას.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

# წინ გადამწყვეტი შეხვედრებია

უაღრესად მძაფრ სპორტულ და შემოქმედებით ბრძოლაში განვლო პეტროსიან— სპასკის მატჩის პირველმა ნახევარმა. 12 პარტიამ ბევრი რამ საინტერესო „გვითხრა“ და მომავლის ვარაუდის შესაძლებლობაც მოგვცა. ჯერ „ნათქვამ:“ გავეცნოთ: ორთაბრძოლის ანგარიში (7:5) და ყაიმების სიმრავლე (10) პეტროსიანის უპირატესობაზე მეტყველებს. ეს ციფრებია, მაგრამ ჩემპიონის წარმატებას სხვა მონაცემებიც განსაზღვრავს:

პირველ ყოვლისა, ფსიქოლოგიური უპირატესობა. მატჩამდე სპასკის პეტროსიანისათვის არც ერთი პარტია არ მოუგია. ეს ფაქტორი, როგორც ჩანს, კიდევ უფრო „დააწვა“ პრეტენდენტს, რომელმაც ვერც ამ მატჩში შეძლო თუნდაც ერთი პარტიის მოგება.

ახლა უკვე აშკარაა, რომ პეტროსიანი უკეთაა მომზადებული სადებიუტო ბრძოლისთვის. ამ მხრივ სპასკი ბევრჯერ ჩავარდა განსაცდელში. ჩემპიონს კი დებიუტიდან თითქმის არც ერთ პარტიაში უარესი პოზიცია არ მიუღია.

სპასკიმ ვერაფერი გააწყო პეტროსიანის დაცვით ტაქტიკასთან. მსოფლიო ჩემპიონი მუდამ ისე თამაშობს, რომ „ყაიმი ჯიბეში უდევს“. იგი არასოდეს მიჰყვება თავბრუდამხვევ გართულებებს, როგორც ამას მ. ტალი აკეთებს ხოლმე. უამისოდ კი სპასკის არ შეუძლია პეტროსიანს სძლიოსო, ამბობდა მ. ბოტვინიკი ერთ-ერთ ინტერვიუში. როგორც ხედავთ, პეტროსიანი თავის სტილში თამაშობს. უფრო სწორად: მან თავისი თამაში თავს მოახვია სპასკის.

წინდახედული და ფრთხილი აღმოჩნდა პეტროსიანი მიტელშპილშიც. იგი არ ჰყვება გრძნობებს. მაგრამ თუ პოზიცია წარმატებას უქადის, როგორც მაგალითად, VII და X პარტიებში, მთელი არსებით ეძლევა რთულ თამაშს. სხვათა შორის, სპასკის რამდენიმეჯერ უღალატა ოსტატობამ რთული პოზიციის შეფასებასა და ვარიანტების გათვლაში. მაგალითად, მან სწორად ვერ წარმართა კარგად დაწყებული იერიში X პარტიაში. შეიძლება ითქვას, რომ სპასკიმ ორივე პარტია წააგო სწორედ მიტელშპილში, პარტიის იმ სტადიაში, სადაც მისგან მხოლოდ წარმატებას ელოდნენ.

როცა ყოველივე ზემოაღნიშნულს გადაავლებ თვალს, ამჩნევ, რომ სპასკი ვერ იბრძვის ჩვეული ენერგიით: მის თამაშს ბევრი ადრინდელი თვისება აკლია. რჩება შთაბეჭდილება, რომ პეტროსიანმა თავისი შთამაგონებელი თამაშით დათრგუნა პრეტენდენტის ინიციატივა, დაუკარგა საკუთარი ძალის რწმენა.

ახლა რაც შეეხება მომავალს:

პირველი, რაც სპასკიმ უნდა შეძლოს, საკუთარი ძალის რწმენის აღდგენაა. ეს იოლი არ გახლავთ. მაგრამ სპასკი ძლიერი ნებისყოფის სპორტსმენია. ადრე მას არაერთხელ გამოუჩენია ვაჟკაცური ხასიათი.

დებიუტების მომზადება, რასაკვირველია, უკვე დაგვიანებულია. ეს სპასკიმაც იცის. ამიტომ, მან უკვე XII პარტიაში აარიდა თავი თეორიულ გაგრძელებებს და თამაში უცვალი გზით წარმართა. პრეტენდენტი, ალბათ, კვლავაც ასე იმოქმედებს. მიუხედავად იმისა, რომ მიტელშპილში მთელი თავისი შესაძლებლობა ვერ გამოავლინა, სპასკი, ალბათ, მაინც შეეცდება აქ ეძებოს გამარჯვება.

პეტროსიანის წინაშე მხოლოდ ერთი ამოცანაა: შეინარჩუნოს უპირატესობა ანგარიშში. ამიტომ, იგი, ალბათ, არც ერთ შემთხვევაში უარს არ იტყვის ყაიმზე. უფრო მეტიც: თავად შეეცდება ყველა პარტია ყაიმით დაასრულოს. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩემპიონი ბრძოლას მოერიდება. გაიხსენეთ, თუნდაც, XII პარტია...

მაშ ასე: პეტროსიანს მომავალი 12 პარტიიდან ჩემპიონის სახელის შესანარჩუნებლად 5 [illegible] ბად 5,5 ქულა ჰყოფნის. სპასკიმ კი 7,5 ქულა უნდა მოაგროვოს, რომ სინამდვილედ აქციოს თავისი ოცნება — გახდეს მსოფლიო ჩემპიონი. ძნელი საქმეა!..

**თ. გიორგაძე.**

• • •

### პარტია არ შედგა

**მოსკოვი**, 9 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). პეტროსიან — სპასკის მატჩის XIII პარტია, რომელიც დღეს უნდა გამართულიყო, ჩემპიონის უქმეობის გამო არ შედგა. იგი გათამაშდება 11 მაისს.

# ტრადიციის აღორძინება

ოთხი ათეული წლის მეგობრობა აკავშირებთ ბაქოს, ერევნისა და თბილისის მოჭადრაკეებს. ახლა ძნელიც კია გაიხსენო მათი ყველა მატჩი თუ შეხვედრა. ის კი ფაქტია, რომ ბოლო წლებში ეს კარგი ტრადიცია დაირღვა. და აი, საბჭოთა კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში იგი აღორძინდება.

დღეს, თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დაიწყება 3 მოძმე ქალაქის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეჯიბრება. თვითეული გუნდი დაკომპლექტებულია სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შემადგენლობით: 6 ვაჟი, 2 ქალი, 1 ჭაბუკი და 1 გოგონა.

აი, გუნდების შემადგენლობანიც:

**ბაქო.** საერთაშორისო ოსტატი ვ. ბაგიროვი, ოსტატობის კანდიდატები ო. პავლენკო, ა. შახტახტინსკი, ა. მორგულიოვი, ო. პირვოროდსკი, გ. გავაშელიშვილი, საერთაშორისო ოსტატი ტ. ზატულოვსკაია, ტ. გორბულიოვა, ფ. შახტახტინსკი, ა. სააკოვა.

**ერევანი.** ოსტატები ე. მნაცაკანიანი, კ. გრიგორიანი, საერთაშორისო ოსტატი ჰ. კასპარიანი, ოსტატობის კანდიდატები ა. დემირხანიანი, ა. არუთინოვი, გ. აკოპიანი, პირველთანრიგოსნები თ. ბოიახჩიანი, მ. ვარდანიანი, ოსტატი ლ. გრიგორიანი, ზ. აფიანი.

**თბილისი.** ოსტატები ბ. გურგენიძე, რ. ჯინჯიხაშვილი, ა. ბუსლაევი, ოსტატობის კანდიდატი თამაზ გიორგაძე, ოსტატი თ. ლომაია, ოსტატობის კანდიდატი ე. უბილავა, საერთაშორისო ოსტატი ა. ჩაიკოვსკაია, ოსტატი ა. ბოკუჩავა, ნ. ალექსანდრია.

ძინჯისყრით გუნდები სატურნირო ცხრილში ასე განლაგდნენ: 1. თბილისი, 2. ბაქო, 3. ერევანი. მატჩები შედგება ყოველდღე და გაგრძელდება 16 მაისამდე. ტურები დაიწყება 16 საათსა და 30 წუთზე, ხოლო გადადებული პარტიების დამთავრება — 11 საათიდან 13 საათამდე.

ჭადრაკი

# ბრძოლა გაგრძელდება

ქუთაისი, 7 მაისი (ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა საქართველოს ვაჟთა პირველობა რუსულ შაშში. შეჯიბრების ფინიშზე ჩემპიონობის პრეტენდენტებმა თბილისელმა ოსტატმა თ. ბარამიძემ და ქუთაისელმა ი. მოძღვრიშვილმა მძაფრი ბრძოლა გააჩაღეს. XIV ტურში წაიბორძიკა ბარამიძემ, რომელიც ბათუმელ ა. ტოჩენოვთან დამარცხდა და ნახევარი ქულით ჩამორჩა თავის კონკურენტს. დასკვნით, XV ტურში ბარამიძემ სძლია სოხუმელ გ. ბარამიძეს, ხოლო მოძღვრიშვილმა ვერ გატეხა ნ. ხუციშვილის მძაფრი წინააღმდეგობა და ყაიმით დაკმაყოფილდა. ამით ბარამიძემ და მოძღვრიშვილმა ერთად „გადაკვეთეს“ ფინიშის ხაზი.

პირველობის საბოლოო ცხრილი ასე გამოიყურება:

I-II. თ. ბარამიძე, ი. მოძღვრიშვილი — 10,5-10,5 ქულა. III-IV. გ. ბარამიძე, ა. ტოჩენოვი—9,5-9,5, V-VI. თ. ბარამიძე, ი. სპესივცევი (ორივენი—თბილისი) — 8,5-8,5, VII-X. მ. მოძღვრიშვილი, (ქუთაისი), გ. ციმბალისტი (თბილისი), ვ. პავლიაშვილი (კასპი), ჯ. გულუა (ფოთი) — 6,5-6,5, XI-XII. ა. ბობროვი (სოხუმი), ნ. ხუციშვილი (თბილისი) — 5-5, XIII. ბ. ლოსაბერიძე (ქუთაისი) — 4, XIV-XV. გ. მაღალაშვილი, ვ. ნინუა (ორივენი — თბილისი) — 3,5-3,5.

ჩემპიონის გამოსავლენად თ. ბარამიძესა და ი. მოძღვრიშვილს შორის მოეწყობა მატჩი 6 პარტიიდან.

პირველობამ გამოავლინა ნიჭიერი ახალგაზრდა მოშაშეები: ქუთაისელები მ. მოძღვრიშვილი, ბ. ლოსაბერიძე და სოხუმელი ა. ბობროვი. მათ მხოლოდ გამოცდილება არ ეყოთ უფრო დიდი შედეგების მისაღწევად.

არ შეიძლება მადლობის გრძნობით არ აღინიშნოს ქუთაისის სპორტკავშირისა და საზოგადოებრიობის ყურადღება ასპარეზობისა და მისი მონაწილეების მიმართ.

**ს. საგიევი,**
პირველობის მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

შაში

# ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

„ლელოს“ საკუთარი ინფორმაცია

### დარჩა 2 ტური

**იტალიის** ჩემპიონატის 32-ე ტურში „ინტერნაციონალემ“ უაღრესად მწვავე ბრძოლაში დაამარცხა ტურინის „იუვენტუსი“ — 3:1.

ბერგამოში ადგილობრივმა „ატალანტამ“ ფრედ (0:0) ითამაშა „მილანთან“, რომელიც პირველად გამოიყვანა მინდორზე ახალმა მწვრთნელმა ა. სილვესტრიმ (კლუბის ხელმძღვანელობამ გადააყენა შვეციელი ლიდჰოლმი). სილვესტრი 50-ან წლებში „მილანის“ მცველი იყო, ხოლო შემდეგ სხვადასხვა გუნდს წვრთნიდა.

ტურინში ადგილობრივმა „ტორინომ“ წააგო ვიჩენცას „ლანეროსისთან“ — 1:3.

ტურის დანარჩენი შედეგებია: „ბრეშია“ — „ბოლონია“ 0:1, „კალიარი“ — „ნაპოლი“ 0:2, „ფიორენტინა“ — „ვარეზე“ 4:0, „ფოჯა“ — „რომა“ 1:0, „ლაციო“ — „სამპდორია“ 0:0, „სპალი“ — „კატანია“ 3:0.

აი, ლიდერთა შვიდეული:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ინტერნაციონალე“ | 32 | 65:24 | 48 |
| „ბოლონია“ | 32 | 59:34 | 45 |
| „ნაპოლი“ | 32 | 41:25 | 41 |
| „ფიორენტინა“ | 32 | 41:21 | 39 |
| „იუვენტუსი“ | 32 | 36:22 | 39 |
| „ლანეროსი“ | 32 | 37:31 | 36 |
| „მილანი“ | 32 | 40:33 | 36 |




ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატისადმი მიძღვნილი მარკები, რომლებიც ჩვენს ფოტოზეა აღბეჭდილი, მალე გამოვა ინგლისში. ფასი 4 პენსიდან — 1 შილინგსა და 3 პენსამდე.

ეს პირველი მარკებია დიდ ბრიტანეთში, რომლებიც სპორტულ თემატიკას ეძღვნება.

ფოტო იუპი-ააპ-ისა.

### „სელტიკი“ — უძლიერესი

**შაბათს** ჩატარდა შოტლანდიის ჩემპიონატის ერთადერთი, ბოლო მატჩი: გლაზგოს „სელტიკმა“ გასვლით შეხვედრაში დაამარცხა „მადერუელი“ (1:0) და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. საინტერესოა, რომ უკანასკნელად ეს ტიტული „სელტიკს“ 12 წლის წინ ეპყრა. სპორტულ კომენტატორთა აზრით, „სელტიკი“ ამ სეზონში უდავოდ უძლიერესი იყო. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ჩემპიონმა მეტოქეთა კარში 106 (!) გოლი გაიტანა და თავისაში გაუშვა მხოლოდ 31.

I ლიგას სტოვებენ „მორტონი“ და „ჰამილტონ აკადემიკლსი“.

აი, ჩემპიონატის პირველი სამეული:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „სელტიკი“ | 34 | 106:31 | 57 |
| „გლაზგო რეინჯერსი“ | 34 | 91:30 | 55 |
| „კილმარნოკი“ | 34 | 73:46 | 45 |

# „თბილი“ მილოცვა

„გილოცავთ 32 წლის შესრულებას... როცა კარგა მაგრა მიგბეგვავ, თავს იგრძნობ 42 წლისად!“ ასეთი მისალოცი დეპეშა გაუგზავნა თავის მომავალ მეტოქეს, ინგლისის ჩემპიონს ჰენრი კუპერს ამერიკელმა მოკრივემ კასიუს კლეიმ.

21 მაისს მან ლონდონში უნდა დაიცვას პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მძიმე წონაში სწორედ ჰ. კუპერთან. ბაქია ჩემპიონი თავის ამპლუაშია. მაგრამ კ. კლეი და ჰ. კუპერი უკვე შეხვედრიან ერთმანეთს 3 წლის წინ და... ნოკდაუნში ჩავარდნილი კლეი მხოლოდ გონგმა იხსნა დამარცხებისგან.

•

# ფათერაკიანი ქორწინება

ახალდაქორწინებულნი გამოდიოდნენ საფრანგეთის ქალაქ ვალ დ'იზერის დათოვლილი ეკლესიიდან (ასეთია ალპური გაზაფხული!). ისინი მოემართებოდნენ მზეზე აბრჭყვიალებული სათხილამურო ჯოხებისგან შექმნილი „ბალდახინის“ ქვეშ, რომლებიც ზეაღემართათ მათს მეგობრებს. ეს იყო განსაკუთრებული „სამთო-სათხილამურო“ ქორწინება: ოლიმპიური ჩემპიონი,- უფროსი და კრისტინ გოიჩელი (იგი ახლა 21 წლისაა) ცოლად გაჰყვა საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელს, 28 წლის ჟან ბერანჟეს. ცერემონიალზე თავმოყრილ 500 სტუმარში უმეტესობა სპორტსმენები და მოთხილამურეები იყო.

დედოფლის გრძელი ქათქათა კაბა ფარავდა... ფეხზე დადებულ თაბაშირის ნახვევს. კრისტინმა ფეხი მოიტეხა ერთ-ერთ შეჯიბრებაზე მარტში, მაგრამ უკვე კარგად გრძნობს თავს. ცოლ-ქმარი ჩასხდა ყვავილებით მორთულ მარხილში და გაემგზავრა სადგურში, საიდანაც საქორწინო მგზავრობაში გაემართება.

კრისტინმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ განზრახული აქვს ერთი თვის შემდეგ კვლავ დადგეს თხილამურებზე, ვინაიდან საჭიროა ინტენსიური მზადება მსოფლიო ჩემპიონატისთვის. ეს შეჯიბრება უნდა გაიმართოს... შუა ზაფხულში.

აგვისტო — ზაფხულის „ზენიტია“ ევროპაში, მაგრამ ამ დროს ზამთარი დგას სამხრეთ ნახევარსფეროში. სწორედ იქ, ჩილის პატარა ქალაქ პორტილოში, ანდების თოვლიან ფერდობებზე მსოფლიო პირველობისთვის უნდა იასპარეზონ სამთო-მოთხილამურეებმა. კრისტინს განზრახული აქვს თავის უმცროს და მარიელთან ერთად გამოვიდეს პორტილოშიც და ოლიმპიურ გრენობლშიც და მხოლოდ ამის შემდეგ დაუთმოს საკუთარი თავი ბავშვებსა და ოჯახს.

ზეიმი ვალ დ'იზერში წახდა უსიამოვნო ცნობის გამო: საფრანგეთის ნაკრების 4 სპორტსმენი ქორწილზე ჩქარობდა და ხიფათს გადაეყარა. მანქანა მკვეთრ მოსახვევში სატელეფონო ბოძს წამოედო. 17 წლის სპორტსმენები ბ. პენცი და ი. ლაფორჟი, 20 წლის ჟ. ოჟერი და რ. ალიარი ჰოსპიტალში მოხვდნენ. ერთადერთი იმედია ის, რომ ტრავმებისადმი „სამთო-სათხილამურო მიჩვევა“ დაეხმარება მათ უახლოეს დროში დადგნენ ფეხზე.

[illegible]

•

# ფეხბურთი და... კორიდა

გარინჩამ და ჟაირზინიომ კვლავ დაიმსახურეს მაყურებელთა ტაში: რაა აქ გასაკვირი? — იკითხავთ თქვენ. ბრაზილიური ფეხბურთის ვარსკვლავებს ბევრჯერ გაუოცებიათ გულშემატკივრები თავიანთი მაღალი ხელოვნებით.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ისინი ამჯერად საფეხბურთო მინდორზე არ გამოდიოდნენ. ნაკრების წვრთნის დროს (სოფელ გამბარის მახლობლად) მათ მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივ კორიდაში. შეჯიბრების პირობებით, საჭიროა დაიჭირო გაშმაგებული ხარი და ამხედრდე ზედ. გარინჩამაც და ჟაირზინიომაც წარმატებით გააკეთეს ეს ძნელი საქმე.

# ბულთმისანი თავდამსხმელი

ბელგრადის „პარტიზანის“ თავდამსხმელს ვ. კოვაჩევიჩს წინასწარმეტყველების გასაოცარი უნარი აქვს. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ყოველი მატჩის წინ კოვაჩევიჩი ზუსტად განსაზღვრავდა ანგარიშს. „ნანტთან“ შეხვედრამდე მან განაცხადა: „გავიმარჯვებთ 2 ბურთის სხვაობით და გავალთ მეოთხედფინალში“. ასეც მოხდა.

გამართლდა ვერდერის „ბრემენთან“ (გფრ) მატჩის წინ მისი ვარაუდიც. პრაღის „სპარტასთან“ დამარცხების შემდეგ „პარტიზანს“ მოგება ჭირდებოდა ანგარიშით 5:0.

იუგოსლაველები დარწმუნებული იყვნენ გამარჯვებაში, მაგრამ ასეთი ანგარიშით მოგებისა არავის სჯეროდა. მხოლოდ კოვაჩევიჩმა განუცხადა ჟურნალისტებს: ვიგებთ — 5:0. ესეც გამართლდა.

„მანჩესტერ იუნაიტედთან“ ბელგრადში მატჩამდე „მისანმა“ თქვა: „აქ, ბელგრადში, მოვიპოვებთ ფინალში თამაშის უფლებას — მოვიგებთ 2:0-ზე, ხოლო მანჩესტერში მინიმალური ანგარიშით წავაგებთ — 0:1“. კოვაჩევიჩის ეს წინასწარმეტყველებაც ახდა.

საინტერესოა, რას ამბობს კოვაჩევიჩი ფინალური მატჩის შედეგის შესახებ. მისი გუნდი ხომ 11 მაისს ბრიუსელში ხვდება მადრიდის „რეალს“?

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

### დღეს

თბილისის მასწავლებლის სახლის სხდომათა დარბაზში (ფურცელაძის ქ. № 8) გაიმართება

**საქართველოს „კოლმეურნის“ IV რესპუბლიკური კონფერენცია.**

დასაწყისი 12 საათზე.

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე, 10 საათიდან.

**„კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭო.**

ИНДЕКС 66118 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 01566